სახალხო გაზეთი

№ 717 კვირა, 7 ოქტომბერი 1912 წ. № 717

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე [illegible] გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთ [illegible]-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ [illegible] თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. [illegible] პარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, **თვეში** — 75 კაპ. **დამატებიანი** 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

კანტორისაგან

1912 წ. პრემია **„გრდემლის“ მისაღებად** უკანასკნელი ვადა არის მომავალ წლის 1 იანვარი, ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც პრემია ერგება, ამ ვადამდე უსათუოდ მოიკითხონ, რადგანაც 1 იანვრის შემდეგ პრემია აღარ შეენახებათ და ყოველნაირი მიწერ-მოწერაც მიმდინარე წლის პრემიის შესახებ **უყურადღებოდ იქნება დატოვებული.**

სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა

1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 ღვინობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 2 მ. და 25 კ.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლ. ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზ**ეთის** გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

ოლღა ნიკოლოზის ასული აგლაძისა, დარია ნიკოლოზის ასული ხარებაძისა, ივანე ნიკოლოზის ძე, ნინო დავითის ასული, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე, მართა ელიზბარის ასული ბეჟანიშვილები—იგივე ნიკოლაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 4 ოქტომბერს გარდაიცვალა მათი საყვარელი დედა და დედამთილი

მარიამ დიმიტრის ასული ბეჟანიშვილი-ნიკოლაშვილისა

პანაშვიდი შაბათს, საღამოს 5 საათზე, რკინის გზის საავადმყოფოს სამლოცველოში, გამოსვენება კვირას, დილის 9 საათზე, წირვა და დაკრძალვა კუკიის წმიდა ნინოს ეკლესიაში. 1541.

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** **წარმოდგენა № 8.**

კვირას, 7 ოქტომბერს, 1912 წ.

ქართ. დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგ. იქნება **ვასო აბაშიძის** მონაწილეობით ცნობილი პიესა ი. გედევანიშვილისა

მსხვერპლი, დრამა 3 მოქმედ.

აღებული სოფლის ცხოვრებიდან მოძრაობის დროს.

მონაწ. ღებულობენ ქ-ნნი: აბაშიძე, გოგოლაშვილი, დავითაშვილი, ლოლუა, მარგარიტა, ქიქოძე, შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: აბაშიძე, აბდუშელი, ალექსიძე, ბერიშვილი, გუნია, გამყრელიძე, გედევანოვი, ზარდალიშვილი, თარალაშვილი მესხი, მატარაძე, მგალობლიშვილი, ქივიძე, სარაული, შალიკაშვილი, ციციშვილი.

ჩაფრები, გლეხკაცობა სოფლის ყრილობაზე, სტუმრები და სხვა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე, ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

თეატრის დირექცია დაბეჯითებითა სთხოვს ბ. მაყურებელთ, ფარდის ახდამდე დასხდნენ თავიანთ ადგილზე, რადგანაც ფარდის ახდის შემდეგ დარბაზში აღარავის შეუშვებენ.

ანონსი: ხუთშ., **11** ოქტ. წარმოდგ. იქნება: 1) მხიარული კომედია ,,**კონცერტი**'', 3 მოქ. და ,,**სიზმარი კოშკში**'', დრამატ. ნაკვთი 1 მოქ. კონსტან-ანდრონისა.

1541. რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი.** ✦ ქართ. დრამ. საზოგ. ადმინ.

ქ. ი. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

ტფილისის ჟურნალისტთა საზოგადოება ორშაბათს, 8 ოქტომბერს ჰმართავს

სალიტერატურო საღამოს „რუსეთის ინტელიგენციის საზოგადო დახასიათება“ ჟურნალ „რუსკოე ბოგატსტვო“-ს სახსოვრად.

პროგრამა: 1. ანენსკის ხსოვნის აღსანიშნავად სიტყვას იტყვის დ. ი. სოსნოვსკი, 2. ნაროდნიკების იდეალები კაზმულ მწერლობაში, წაიკ. ი. ვ. პალმოვი. 3. ჩაიკოვსკის რომანსებს შეასრულებს მ. გ. მინკევიჩი. 4. პ. ფ. მელშინი. სამოქალაქო ლირიკის პოეტი, წაიკ. კ. ა. კოზლოვი. 5. მელოდეკლამაცია, შეასრულ. არტ. ვ. ფ. რადოლინი. 6. ი. კ. მიხაილოვსკი. „რუსკოე ბოგატსტვოს“ სალიტერატურო ოჯახის სული, სიტყვა კ. დ. ზულენსკისა. 7. რახმანოვის რომანსებს შეასრ. კ. ო. ვალ[illegible]სკი. 8. ვ. გ. კოროლენკო. უკანასკნელი სხივი, სიტყვა დ. კ. გეპშტეინისა. აკომპანიმენტს დაუკრავს ე. ნ. სტოგინი. დასაწყისი სწორედ საღ. 8 საათზე. ადგილების ფასი 1 მ. 20 კ.—20 კაპ.—მდე. ბილეთები ყოველდღე იყიდება თეატრის კასაში. პასუხისმგებელი გამგე: ჟურნალისტთა საზოგადოების გამგეობა. ადმინისტრატორი თ. ი. დოლიძე. 711.

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი.

კვირას, 7 ოქტომბერს, გაიმართება მხოლოდ ერთი იაფ-ფასიანი

ქართული კონცერტი

—✦ კ. ზ. ფოცხვერაშვილისა. ✦—

შესრულებულ იქნება პირველად ტფილისში კ. ფოცხვერაშვილის ახალ ქართულ ოპერიდან („**კერპთა დამხობა**“), სოლოები, ხოროები და სიმფონიური ნომრები. **ქალ-ვაჟთა ხორო** ორკესტრთან ერთად **შეასრულებს** ბ-ნი კ. ფოცხვერაშვილის მიერ ახლად შემუშავებულ **ქართულ-ეროვნულ სიმღერებს**. სიმფონიურ განყოფილებაში ორკესტრი შეასრულებს მ. ბალანჩივაძის ოპერა ,,**თამარ ცბიერიდან**'' **დავლურს და ლეკურს.** მონაწილეობას მიიღებენ: მომღერალი ქალი **ნ. პრესინსკაია** (შეასრულებს ოპერა ,,კერპთა დამხობიდან'' ქურუმ-ქალის არიას), ქალ-ვაჟთა ხორო და ,,ახალი კლუბის'' სიმფონიური ორკესტრი. ბილეთ. 10 კ. 1 მან.-დე, იყიდება თეატრ. კასაში. **დასაწყ. დილ.** 12½ ს.

1535 ლოტბარი **კ. ფოცხვერაშვილი,** გამგე **ალ. წუწუნავა.**

გამოსულია და იყიდება

ი. გედევანიშვილის პიესა

,,მ ა მ ც ე მ ი''

დრამა 3 მოქმედ. **ფასი** 25 კ.

ა ხ ა ლ ი კ ლ უ ბ ი

ორშაბათს, 8 ოქტომბერს

ჩვეულებრივ **სინემატოგრაფი** და **საზანდარი.** ნაჩვენები იქნება სურათი **,,1912 წელი''.**

სიმებიანი ორკესტრის მონაწილეობით. 1536

ელექტრო-თეატრ ლირა-ში

8, 9 და 10 ოქტომბერს

აჩვენებენ სურათებს მსცოვან მგოსან

,,აკაკი წერეთლის მოგზაურობა''

რაჭა-ლეჩხუმში; სურათების ჩვენების დროს **დაუკრავს ჩასაბერ საკრავების ორკესტრი.** 713.

გამოსულია და იყიდება

არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი:

I ტ. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი „ „ „ 75 კ.
II „ „ჩვენი საზოგადოებრივობა „ „ „ „ „ 80 კ.
III „ „ნააზრევი“ „ „ „ „ „ „ „ „ 65 კ.
IV „ წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. „ 85 კ.

შ ე ი ძ ლ ე ბ ა დ ა კ ვ ე თ ა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე. ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.

ფოთში—იონა მეუნარგიასთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.
თელავში—თამარ აბაშიძესთან.
ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
ბაქოში—ილია აგლაძესთან.
ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
ერევანში—ელენე ვირსალაძესთან

ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან. გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ბელელიშვილთან ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. 1153

ს ა ს ტ უ მ რ ო უნივერსალი

(ძველად ,,მუხრანის ნომრები'') **ტფილისში, გოლოვინის პროს.** სახელმწიფოს და კერძო დაწესებულებათა შუაგულში; ნომრები ახლადაა გადაკეთებული მშვენივრად; დიდად სახერხოა ცოლშვილიანებისათვის. ფაქიზი სისუფთავე, ზრდილობიანი და სხარტი მოსამსახურენი. როგორც კაცები ისე ქალები; ელექტრონული განათება, ცხელი და ცივი ვანები. გვაქვს ორ-ორი და სამ-სამი ოთახი, ფანჯრები და აივანებიც ქუჩის მხარეს აქვთ. ნომერი 40 კ.—5 მანეთამდე ღირს დღე-ღამეში, თვიურად 15 მან. 80 მანეთამდე. თვიურ მდგმურებს დიდ შეღავათს ვაძლევთ ქირაში. **ტელეფ. № 499.** 1481

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძმენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფ.	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და [illegible]შაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქარო ავ. (ქირურგიული).	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო ქალ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ხუციშვილი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. წამლ. ელექ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათ[illegible]ით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათამანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კაცეტერიზაცია; ,, 6 0 6 '' **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1010.

ღარიბ მოწაფეთა დამხმარე ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების გამგე კომიტეტი

აცნობებს ბ-ნთ საზოგადოების წევრთ, რომ საზოგადო კრება გამგე

კომიტეტის ორის წევრის ასარჩევად

იქმნება დღეს, 7 ოქტომბერს, დილის 11 საათზე თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოში. 1546.

✦— ქ ვ ო რ შ ი ✦—

თარხან-მოურავის ქალთა სახელოსნო სკოლა

ამით აცხადებს,

რომ 20 მარიამობისთვიდან დაიწყო მიღება. 12 წლ. ნაკლები არ მიიღება. 12 წელზედ ზემოდ წლოვანობა განსაზღვრული არ არის. უპირატესობა ეძლევა წერა-კითხვის არ მცოდნეს. აქვე მიიღებიან მოწაფენი ბინითაც. დაწვრილებით პირობების გაგება წერილობით და პირადად. მისამართი: სამეფო ქუჩა, ერისთავის სახლში № 18. 1491.

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

საქრისტიანო მოძღვრებ., ფასი 30 კ.
სიტყვა თქმული ერთს კრებაზე, 10 კ.
საეკლესიო ქადაგებანი იოანე ბოლნელისა . . . . . 1 მ.
მოძღვრებანი მღვდ. გამრეკელ. 40 კ.
წესი სამღვდელოსა და საღმრთო ლიტურგიისა წმინდათა შორის მამისა ჩვენისა იოანნე ოქროპირისა . . . 60 კ.
Слова и рѣчи, ეპისკ. გაბრიელი . . . . 2 მ.
Номокавонъ Іоанни Постника, Хаханова . . . . 2 მ.
Правила VI, Вселенскаго собора Хах. . . . . . . 1 მ.
Іерусалимски Канонаръ VII в. Св. Кекелидзе, ... 2 მ.
Древне-Грузинскій Архіоритикоъ, Кекелидзе . . . . 1 მ.
Культурная роль Иверіи въ Исторіи Русси. სამი მანეთის ნაცვლად . . . . . . 1 მ. 50 „

დარესი ტელეგრამისათვის: Тифлисъ Грамотность. 1141.

საგურამოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის პირდაპირ ახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ. [illegible]ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყ.-დღ. 10 ს. 1½ ს.

ახვლედიანი შინაგან სნეულ. საბავშ. სამშაბათ. ხუთშაბათ. შაბათ. საღამოს 4—5 საათ.

ბოჟოვსკი. შინაგ. საბავშ. ორშაბ. ოთხშაბ. პარასკებ. საღამ. 4—5 ს.

მონსე. ბავშ. და შინაგ. ავად ორშ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 საათ.

ნოვიცკი. ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს,

კალამკაროვი. ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.

უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—12½

რუდენკო. შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 3—4 საათ.

ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.

იოსელიანისა ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

ბესსერი შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.

ბაგდოევისა, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

ლიმონი. კბილ. ყ.-დღ. 11—12 ს.

შამაში, ქირურგ. ავადმყ. ყ.-დღ., კვ. გარდა 1½ 2½ ს.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ ,,606''-ს

საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით. 366.

ექიმი კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ქაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. დიდუბე 0.49

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ბაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. [illegible]ხამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფი[illegible] კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბ. ა. [illegible] ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ და ცხვ. სნეულ. 11 11½.

შ. ა. [illegible]ქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. ხელიძეშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური-ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა ,,606''-[illegible] 1918

დოქტორი მედიცინისა ბერლ. უნივერს.

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგ. ავადმყ., ავადმყოფობ. ფილტვ.—ტუბერკულ. და გულისა. წამლობს ტუბერკულინით, რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი,** ბებუთოვის ქ., № 23 (განთვის ქ. კუთხე). **ტელეფ. 7—92.** 1497

კბილის ექიმი

მამულაიშვილი-ხოდნევისა

წამლობა, პლომბის გაკეთება ფაიფურით და ოქროთი. კბილის ამოღება უტკივილოდ ოქროს ,,კორონკები'' და ,,ვსტავკები'' (ახალი სისტემის პლომბი, რომელიც არ იშლება და არვარდება). ბრუნდი კბილების გასწორება მიღება დილით 8—2 საათამდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ოლღას ქუჩა № 20, ბინა—5. 1504

ელექტრონისა და რენტგენის

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

ექიმი ს. ი. გძელიშვილი

შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. ვერაზე დღისით: 2—4 საათამდე. ბორონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. 1411

ექიმი ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—4 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334.

ექიმი ი. ი. [illegible]შვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ხორშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასერმანის** რეაქციით იკვლ. ათამანგ. მოწამლ. სისხლს. იღებს ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.**, № 94, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 1540

ექიმი ქალი დ. გ. საყვარელიძე.

იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბავშვო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5–6 საათამდე.

კიროჩნის ქუჩა, № 9. 595.

ექიმ ი. ე. ჯაშის კაბინეთი ამბულატორიით. მიიღებს შინაგ., დედ. და სადოსტაქრ. ავადმყ. დილ. 8—11 ს. და საღ. 5—8 ს. დიდვანქის ქ., № 6. წინანდელი სადეპეშო კანტორა. 1480.

ექიმი ივ. გომართელი დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ვერაზე, ოლღას ქუჩა № 20, დილით 8—11 ს.-მდე, საღ. 5—7 საათ. 701.

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვთა ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. [illegible]) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. 1045.

ექიმი ა. [illegible] კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე [illegible] 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, [illegible]

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა.

ექიმი შ. ა. [illegible] იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 5 [illegible] № 6.

ტფილისი 7 ოქტომბერი

ვის მივცეთ ხმა?

გუშინდელ ჩვენ გაზეთში დაიბეჭდა [illegible] ჯორჯაძის წერილი, რომელშიაც იგი ურჩევს ჩვენს თანამოაზრე ამომრჩევლებს ხმა მისცენ ლუარსაბ ანდრონიკაშვილს, თუმცა იგი ჩვენს პრინციპებს და იდეალებს სავსებით არ იზიარებს. ბ-ნი არჩილ ჯორჯაძე თავის მოსაზრებას იმით ასაბუთებს, რომ არა მარტო პირადი-ღირსებითა, დემოკრატიულ გულწრფელობითაც კი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი არაფრით ჩამოუვარდება სოციალ-დემოკრატების მიერ წამოყენებულ კანდიდატს. ჩვენ გვინდა კიდევ ერთს მოსაზრებაზე მიუთითოთ მკითხველებს.

სოციალ-დემოკრატებს „დაშნაკცაკანთა“ პარტია ყოველთვის ბურჟუაზიულ და სომხურ ნაციონალიზმის მატარებელ პარტიად მიაჩნდა. არა ერთხელ თქმულა და დაწერილა სოციალ-დემოკრატიულ ორგანოებში, რომ დაშნაკცაკანთა პარტია აფერხებს სოციალისტურ პროპაგანდას ამიერ კავკასიაში. დიდი საბუთების გამოძებნა ამის დასამტკიცებლად არ დაგვჭირდება, რადგანაც, უეჭველია, მათ ეხლაც ასეთი შეხედულება ექნებათ დაშნაკცაკანებზე. მიუხედავად ამისა, სოციალ-დემოკრატებმა მაინც ზურგი უბრუნეს ქართულ ეროვნულ დემოკრატიულ ჯგუფებს და შეუთანხმდნენ სომხის ნაციონალისტებს. ეს ისეთი თვალსაჩინო და ამასთანავე სამარცხვინო მოვლენაა, რომ იგი დიდს კვალს დასტოვებს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ამოუშლელ დაღად აესმება „ერთად-ერთის“ დემოკრატიულ პარტიას. სოციალ-დემოკრატებმა თავიანთი დემოკრატიული უმანკოება, თუ რომ [illegible] ჰქონდათ ეს უმანკოება, დაჰკარგავს; კომპენსაციად მიიღეს ჩხეიძე. არა გვგონია, ძალიან სასახელო იყოს ჩხეიძისთვის ასეთი საშუალებით გამარჯვება, მაგრამ ამ ჟამად ჩვენ ეს არ გვაინტერესებს. ჩვენ უნდა გადავსწყვიტოთ მეორე საკითხი: როგორ უნდა მოიქცნენ ჩვენი თანამოაზრე ამომრჩეველნი? ხმა ჩხეიძეს მისცენ, თუ ლუარსაბ ანდრონიკაშვილს.

მას შემდეგ, რაც გამოაშკარავდა, რომ სოციალ-დემოკრატები სომხის ნაციონალისტურ პარტიისა და სომხის ბურჟუაზიის დახმარებით მოქმედებენ, ჩვენ ამ საკითხს გამო ორი აზრი არ შეიძლება იყოს. სოციალ-დემოკრატებმა ქართულ ეროვნულ დემოკრატიულ ჯგუფებს სომხების ნაციონალისტური პარტია ამჯობინეს. ჩვენც ყოველი ღონის-ძიება უნდა ვიხმაროთ და დავარღვიოთ სომხებისა და სოციალ-დემოკრატების [illegible] დახმარების ხელი გაუწყოდოთ ისეთს პარტიას, რომელმაც საქართველოს პოლიტიკური ინტერესები სომხებს მიჰყიდა და [illegible] მხოლოდ ჩხეიძე მიიღო.

დღეს ისეთი მდგომარეობაა შექმნილი, რომ [illegible] მიზნად დასახული უნდა იქნას დამარცხება სომხებისა და სოციალ-დემოკრატების ბლოკისა. ამისათვის ჩვენმა თანამოაზრე ამომრჩევლებმა ხმა უსათუოდ ლუარსაბ ანდრონიკაშვილს უნდა მისცენ, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჩვენს იდეალებს სავსებით არ იზიარებს. სომხის ბურჟუაზიისა და ნაციონალისტურ პარტიის დახმარებით წასულ დეპუტატს ყველა სჯობიან.

ქართული პრესა

რედაქციამ მიიღო მესამე ნომერი „ხმა კახეთისა“. ეს ნომერი ისევე შინაარსიანად არის შედგენილი, როგორც პირველი ორი. გაზეთის ხელმძღვანელს, როგორც ეტყობა, კარგადა ჰქონია გათვალისწინებული, თუ რას უნდა ემსახურებოდეს პროვინციაში ქართული გაზეთი და ამის მიხედვიდაც იქცევა. ვუსურვებთ „ხმა კახეთისას“ რომ შემდეგშიც ამ გზით იაროს, ყოველნაირი სახიფათო დაბრკოლება სძლიოს და თავისი მისია—ქართულ მწიგნობრობის გავრცელება ხალხში პირ-ნათლად შეასრულოს.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ქართულის საეკლესიო მუზეუმის** გამგე კომიტეტის კრება 5 ოქტომბერს მოხდა გორის ეპისკოპოსის ანტონის თავჯდომარეობით. კომიტეტს მსჯელობა ჰქონდა მუზეუმის ახალ შენობის შოვნის თაობაზე, რადგანაც ძველს შენობას ანგრევენ სიონის ტაძრის გალავნის გასაფართოვებლად. კომიტეტმა დაადგინა: აღძრას შუამდგომლობა სასულიერო მთავრობის წინაშე, რათა ძველი შენობა არ დაანგრიოს და მუზეუმი ახლანდელს შენობაში დარჩეს; თუ ეს მოსაზრებელი არ იქნეს, მაშინ კომიტეტს მუზეუმისთვის გალავანში სხვა შენობა დაეთმოს.

✦ ორშაბათიდან **ავლაბრის კლუბი** საზამთრო შენობაში გადადის.

✦ ელექტრო თეატრ „ლირა“-ში ამ თვის 8, 9, და 10 აჩვენებენ ავაზის მოგზაურობას რაჭა-ლეჩხუმში.

✦ **უმაღლესი სასწავლებელი ტფილისში.** 12 სექტემბერს მინისტრთა საბჭოს კრება იქნება ტფილისის უმაღლესი სასწავლებლის თაობაზე. კრებაში მონაწილეობას მიიღებენ: კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი ნ. ფ. რუდოლფი და ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორი ბ-ნი პეტერსონი.

✦ ახლად დაარსებულ [illegible] **ბანკის საორგანიზაციო** კომიტეტმა უკვე ასორმოცდა ათი [illegible] მიიღო, იმ პირთაგან, რომელთაც ადგილები ითხოვეს. მოსამსახურეთა შტატი კი გამოანგარიშებით 25 არ აღემატება.

✦ [illegible] სექტემბრის განმავლობაში ჩამოურეკიათ 10355 მსხვილფეხა საქონელი და 21318 წვრილ ფეხა. საშუალო ფასი მათი იყო მსხვილფეხაზე: 29 მ. და 50 კაპ., შერეული 30 მან., [illegible] 40 მან., ხბო—7 მ., წვრილფეხაზე: ცხვარი—4 მ. 50 კ., თუშური—5 მან. [illegible], თხა—5 მან. და ღორი 12 მანეთამდე.

✦ **ქალაქის საბჭოს საფინანსო კომისიის** წევრმა მანუელიანცმა ამ კომისიის წევრობას თავი დაანება, ახალ-წევრის არჩევა ორშაბათს, 8 ოქტომბერს მოხდება.

✦ **პურის ნიხრის დარღვევისათვის** გუშინ ოქმები შეუდგინეს მეპურეებს მალაქია ჩლაიძეს, დიმიტრი გიორგობიანს და ივანე სხირტლაძეს.

✦ **მოსკოვის ბეითალთა კრებაზე** ქართულ სამეურნეო საზოგადოების მიერ გაგზავნილი შიო დებაბრიშვილი ტფილისში დაბრუნდა.

✦ **სამუნიციპალო მუზეუმისთვის** გუშინ 6 ოქტომბერს, სომეხთა დრამატურგის გაბრიელ სუნდუკიანცის შვილმა ქალაქის მოურავს ა. ი. ხატისოვს სამუნიციპალო მუზეუმისთვის გადასცა: განსვენებულის მწერლის სამელნე და კალამი, განსვენებულისავე ფოტოგრაფიული სურათი და ირაკლი მეფის სიგელი-საბუთი, რომლის ძალითაც განსვენებულის საკუთრებას შეადგენს ტფილისის ერთ-ერთი ბაღი. როგორც ამბობენ, ეს ის ადგილია, რომელსაც განსვენებული გაბრიელ სუნდუკიანცი თავის პიესა „პეპო“-ში იხსენიებს.

✦ ტფილისში უკვალოდ დაიკარგნენ ვართან მოსესას ძე მელქონოვი და გიორგი არტემას ძე [illegible]ანცი.

✦ 4 და 5 ოქტომბერს ტფილისში 79 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება ორშაბათს, 8 ოქტომბერს მოხდება. საბჭოს ამ დღეს 18 საქმე აქვს განსახილველი.

სასწავლებლებში.

✦ 5 ოქტომბერს, ტფილისის **მიწის-მზომელთა სასწავლებელმა** იდღესასწაულა სამამულო ომის ასი წლის იუბილეი. სიტყვა წარმოსთქვა საღვთო სჯულის მასწავლებელმა მ. ა. თოთიბაძემ. საღამოზე ბაზილევიჩმა და მოწაფეებმა რეფერატები წაიკითხეს, აჩვენებდნენ ცოცხალ სურათებს. საღამოს გარეშე პირნიც დაესწრნენ.

✦ დღეს, 6 ოქტომბერს მოხდება კრება მანთაშევის სახელობის სავაჭრო [illegible] საბჭოსი. კრებამ უნდა გაანაწილოს ღარიბ მოწაფეთა შორის სტიპენდიები და განთავისუფლოს სწავლის ფულისაგან.

✦ ტფილისის პირველ საკომერციო სასწავლებელში ვაჟთა [illegible] სტიპენდიიდან ორს „ბოროდინოს“ სახელი დაერქვა, სამამულო ომის მოსაგონებლად.

სასამართლო.

✦ **სურამელთა საქმე.** ხვალ, 8 ოქტომბერს, ტფ. სასამართლო პალატა გაარჩევს სურამის მცხოვრებთა სამსონ ბებიაშვილისა, ვანო მაისურაძისა და ზაქრო მჭედლიძის საქმეს. ბებიაშვილსა და მაისურაძეს ბრალდებათ სურამსა და ხაშურს შუა, მჭედლიძის ჩაგონებით, სურამის მფრინავ რაზმის ჩაფრად ნამყოფ ალექსანდრე ორჯონიკიძის მოკვლა. როგორც თავის დროზე ვწერდით, ეს საქმე ამ წლის 8 ივლისს ოლქის სასამართლომ გორში სესიამ გაარჩია და ყველა ბრალდებული უდანაშაულოდ იცნო. პალატაში საქმე ბრალმდებელის განსაჩივრების გამო გადმოვიდა. ბებიაშვილსა და მაისურაძეს იცავს ნაფ. ვექილის თანაშემწე შ. ვ. ალექსი-მესხიშვილი.

✦ პარასკევს, 5 ოქტომბერს, სამსახურის საქმეთა გამო ქალ. სიღნაღისაკენ გაემგზავრა ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე ნ. ა. ტოლპიგო.

რკინის გზებზე.

✦ ბოლო ხანებში სად. ტფილისში შემოიღეს წესი, რომლის ძალითაც ბარგის მიღების დროს ქაღალდებს განსაკუთრებული კანტროლი ამოწმებს.

✦ ტფილისის საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. მილოვმა რკინის გზის სამმართველოს სთხოვა, ყურადღება მიაქციონ იმ გარემოებას, რომ კანტროლები ძლიერ აფერხებენ ბარგის მიცემას, საქონლის პატრონები დროზე ვერ იღებენ საქონელს და ზედმეტ გადასახადს იხდიან.

✦ 5 ოქტომბერს, დილის 11 საათზე, სამხედრო მატარებელი № 96 რომელიც სადგურ სანაინიდან—ახპატისაკენ მიდიოდა (ყარსის გზა) ახპატიდან ორი ვერსის მანძილზე ლიანდაგიდან გადავარდა, ლიანდაგს გადასცდა 19 ვაგონი, მაგრამ უბედურება ხალხს არ მოსვლია. მხოლოდ ლიანდაგი გაფუჭდა 50 საჟენის მანძილზე, რის გამოც მატარებლების ჩვეულებრივი მიმოსვლა შეფერხდა.

ქუთაისი

✦ სათათბიროს რწმუნებულთა არჩევნებში სოც.-დემოკრატებმა გაიმარჯვეს.

✦ 1 ოქტომბერს მეტეხის ციხიდან ეტაპით **რამდენიმე ტუსაღი ჩამოიყვანეს** და ქუთ. საგუბერნიო სატუსაღოში მოათავსეს.

✦ ამ [illegible] მომავალ [illegible] სამოსამართლო **პალატა გაარჩევს ფარნა გეგელიას საქმეს.** მას აბრალებენ ოდიშში პრინც მიურატის მამულში [illegible] მოძრაობის მეთაურობას. [illegible] ოლქის სასამართლომ გაარჩია ეს საქმე და მას ორ წელიწადს [illegible] გამასწორებელი რაზმი მიუსაჯა. გეგელიამ საქმე განასაჩივრა სენატში, სენატმა დაარღვია პალატის [illegible] და ხელმეორედ [illegible] გარჩევად. გეგელიას სენატში იცავენ ნაფიცი ვექილები ერთი პეტერბურგიდან, ორი მოსკოვიდან და ერთიც ქუთაისიდან.

✦ კვირას, 7 ოქტომბერს, თეატრ „რადიუმ“-ში გაიმართება **ლექციების** კითხვა. **ბ. გ. ნასარიძე** წაიკითხავს „ნიადაგი და მისი ფიზიკური თვისებები“, **ბ. ა. ჯანელიძე** წაიკითხავს: „ნაციონალური ბრძოლა“. ლექციების კითხვა დაიწყება შუადღის 12 საათზე.

✦ „სახალხო გაზეთი“-ს თანამშრომელს თევდ. ღლონტს დაუმზადებია სალექციო მასალა: „დედაკაცი საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში“.

ამ ლექციას პ. ღლონტი პირველად ქ. ბაქოში ოქტომბრის ბოლო რიცხვებში წაიკითხავს.

სიღნაღი

✦ 27 სექტემბერს, საღამოთი, ვიღაც შანტაჟისტს წერილი გადაუგდია **სოლომონ ივანეს ძის მირიანაშვილის** ეზოში. რომელშიაც სთხოვდნენ ხუთ თუმანს. წერილში იყო გამოხატული კუბო და რევოლვერი. სწერდნენ ფული დოსმიშვილის დაქცეულ წისქვილის წინ დიდ ქვის ქვეშ ამოდეო. ხელს აწერდა „ჩიტო-ჩიტო“. დედაკაცები გამოსდგომიან და დაუწყვიათ ყვირილი, მეორე დღეს შანტაჟისტები მამასახლისმა დაიჭირა და გომში ჩაყარა. აღმოჩნდნენ ანაგელი მეწისქვილე გლეხები.

✦ თანახმად ნახიჩევანის განყოფილების გამომძიებლის შ. გოგიევის განკარგ., 20 ენკ. სიღნაღში დაიჭირეს და სატუსაღოში ჩასვეს სამოქალაქო სასწავლებელში ახლად დანიშნული მასწავლებელი **პრატასი იაკობის ძე ხრამცოვი**. მას ფულის გატაცებას აბრალებენ.

✦ 30 ამ თვეს ქ. [illegible]ში მოხდება არჩევნები [illegible] მემამულეთა, რომელთაც ორი ამომრჩეველი უნდა გაგზავნონ [illegible].

[illegible]

✦ **სოფ. ჭოტორის** მცხოვრებ დათიკო სვიმონის ძე ბახტურაშვილი ერთი კვირის წინად დაკარგულა ივრის ხეობაში. ბახტურაშვილი ჭოტორელ მონადირეებს წაუყვანიათ მუშად. ერთ დღეს, როცა მონადირეები სანადიროდ წასულან—ბახტურიშვილი ბინაზე დაუტოვებიათ, როგორც ავადმყოფი. უკან რო დაბრუნებულან, მონადირეებს ბინაზე ველარ უნახავთ ბახტურიშვილი და, თუმცა ბევრი უძებნიათ, მაგრამ [illegible] კვალისთვის ვერ მიუგნიათ.

✦ 25 სექტემბერს, ს. საქობოში, (ქიზიყში) მუშაობის დროს ორსართულიან შენობიდან ჩამოვარდა **იოსებ მახარაშვილი,** რომელიც ყელით მანჭვალზე ჩამოეგო. იქვე მყოფმა ქართუმ მახარაშვილმა სასწრაფოდ მანჭვალი ყელიდან გამოაძრო. იოსებ მახარაშვილის მდგომარეობა ჯერ-ჯერობით საშიში არ არის.

✦ 26 სექტემბერს გაჩხრიკეს სიღნაღის [illegible] **[illegible]შვილის სახლი** და წიგნის მაღაზია, საიდანაც წაიღეს აუარებელი წიგნები, რუსული და ქართული.

(„ხმა კახეთისა“.)

სოფლად

✦ **ახალციხის მაზრა.** ს. საკირეში ექვსი შეიარაღებული ბოროტმოქმედი შეუცვივდა სახლში ილიკო ჯავახიშვილს. მძარცველები ორ ჯგუფად გაიყვნენ. ერთი ჯგუფი ზემო სართულში ავიდა, სადაც იყო ილიკო, მისი რძალი და მცირეწლოვანი და. მეორე კი ქვემო სართულში დარჩა. აქ იყო პირველის ნათესავი იორდანე და მისი ცოლი. თავდასხმამ ისე გააშტერა ყველანი, რომ ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. მძარცველებმა ამით ისარგებლეს და წაიღეს: ფულად 370 მან., აგრეთვე ტანისამოსი და ნივთები სულ 450 მანეთისა. მძარცველები ამით არ დაკმაყოფილდნენ. ახალციხის უბნის ტყის მცველის თავლა გატეხეს და ორი ცხენი წაიყვანეს. შემდეგ მიხა კაპანაძეს შეუცვივდნენ 65 მან. ფულად და ერთი ცხენი წაართვეს და „კოდიანის მთით“ ბორჯომისაკენ მიიმალნენ. მძარცველთაგან ოთხი შეიპყრეს. ისინი აღმოჩნდნენ ვასო ხუხულური, გიო და პავლე სამონიძეები და გიორგი დიაკონაშვილი.

ბალკანეთის ომი.

დეპეშები

სტამბოლი. ოფიციალურ ცნობით, 3 ოქტომბერს დაწყებული ბრძოლა ვრანიეს მახლობლად, ოსმალთა გამარჯვებით დასრულდა. ოსმალებს მოუკლეს 1 აფიცერი, 15 ჯარის კაცი და დაჭრეს 51 ჯარის-კაცი. ჩერნოგორელი ჯარის-კაცი მოკლულია 500 სერბიის საზ-

წერილები უცხოეთიდან

ათინა - ოლიმპია, 14—23 ივლისი.

II *)

ათინიდან ოლიმპიას გავსწიე. მთელი გზა კორინთის სრუტეს ნაპირებს მისდევს, პელოპონეზის ჩრდილო და დასავლეთ მხარეზე და ისეთი მშვენიერი სანახავია, რომ თვალი ყურებით ვერ გაძღება. მშვენიერი მუქი ლაჟვარდი, ზღვა ვენახებითა და ზეთის ხილის ტყეებით მოფენილ მიდამოებით მომხიბვლელი რამ არის.

ძალზე დაღამდა ოლიმპიაში რომ მივედით. ეს ერთი პატარა სოფელია, ორასიოდე მცხოვრები თუ ჰყავს. სოფელი მაღლობზეა, ხოლო თვით შესანიშნავი ნანგრევები ზევსის ტაძრისა—დაბლობში. აქეთ-იქით პატარა გორაკებია, ერთ გორაკზე მუზეუმია, სადაც პრაქსიტელის ჰერმესია და მასთან რამოდენიმე ნაბიჯზე იქვე სასტუმროა, საუკეთესო ოლიმპიაში, რომელიც ეკუთვნის რკინის-გზის საზოგადოებას. აქ ჩამოვხტი.

გათენდა თუ არა მუზეუმში ჩავიჭერ. გულის ფანცქალით მივდიოდი პრაქსიტელის უკვდავის ქანდაკების სანახავად. მისი ფოტოგრაფიები ხშირად მინახავს, ისეთი წიგნი არ წამიკითხავს, სადაც ეს ქანდაკება არის ხსენებული, რომ აღტაცებული ქება არ ყოფილიყოს ამისი.

მუზეუმის პირველ დარბაზიდან შედიხარ ერთ ოთხ-კუთხედ პატარა დარბაზში, სადაც ჰერმესია მარტოდ-მარტო მოთავსებული. წინ გრძელი სავარძელი სდგას. განსაცვიფრებელი რამ არის. რელიგიოზურ განწყობილებას გიბადებს, გულს აღტაცებით ავსებს და გაშტერებული შესცქერი დიდებულ სანახაობას. რაღაც ნაირის სიამაყით ხარ გარემოცული, ჰგრძნობ და რწმუნდები, რომ ადამიანის გენიოსობას შეუძლიან ღვთაებრივობამდის მიაღწიოს. გული სიხარულით გიტოკავს მშვენიერების ხილვით; გონება გაბრუებული იღიმება, ვინაიდან ჰხედავს მაღალ აზრს დიადის სამოსლით შებურვილს. გრძნობა სასიამოვნოდ გეშლება, ვინაიდან თვალით ჰხედავ ნათლად გამოხატულ აზრს:

„მგრძნობელობა სჯობს ყოველ თვისებათ, ცით მოვლენილთა
„შვენებასაც და გონებასაც ის ასულდგმულებს!“

შენი მორალური არსება უსაზღვრო ბედნიერებაში დასცურავს, რადგან ეს ქმნილება სინიდისიერებისა კეთილშობილებისა, სინაზისა და უბიწოების განხორციელებაა.

იგი სპეტაკია ვით მარმარილო, რომლისაგანაცაა გამოქანდაკებული.

იგი უცოდველია ვით სწორუპოვარი სიტურფე, რომელიც მას აცისკროვნებს.

იგი ბედნიერია, ვით მომჯადოებელი ღიმილი, რომელიც მის ბაგეებს დასთამაშებს.

იგი გონიერია, ვით სევდა, რომელიც შარავანდედით გარს არტყია.

ცივს ქვაში ნათლად გამოსჭვივის მაღალი სული, გონიერებით ზე-აღბეჭდილი და ზე-აღმტაცი მედიდურება სიმშვიდით შემკული. ჩვენს ყურში გაისმის უკვდავი ლექსი, რომელიც ზემომოყვანილთან ერთად თითქო ახასიათებს იმ მრავალ მხრივ გრძნობას, რომელსაც გიშლის პიტალო ქვა ღვთაებრივის ხელისაგან ცხოველყოფილი:

„თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარეებს,
„მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს“.

შენის თვალის წინ წარმოგიდგება მშვენიერი ყმაწვილი კაცი, მთლად შიშველი. ქლამანდი გაუძვრია და ხის კუნძზე გადაუგდია. ქლამანდი ჰფარავს ხის კუნძს. თვით ჰერმესს მარცხენა ხელში ბავშვი უჭირავს,—დიონისი და ამ ხელით დაყრდნობილია კუნძზე. მარჯვენა ფეხზედა სდგას, მარცხენა კი ცოტათი უკანა აქვს გაწეული და მოხრილი. მარჯვენა ხელი მაღლა ჰქონია აწეული, ამ ხელში ყურძნის მტევანი ეჭირა, როგორც ამბობენ მცოდნენი და იმით ართობდა დიონისს. მთლად ეს გრუპპა შემდეგ მითოლოგიურ არაკს გვიხატავს:

დიონისი იყო შვილი ზევსისა და სემელესი. სემელესადმი შურით შეპყრობილი ჰერა, ცოლი ზევსისა, ურჩევს სემელს, მოითხოვოს მომხიბვლელი ღმერთის ნახვა. სემელემ მოისურვა დაენახა მეხთა-მტეხი ზევსი მთელის თავისის ღვთაებრივის ბრწყინვალებით, ხელში ელვით. ამგვარი სურვილი მომაკვდავისა ზევსმა ისეთ ცოდვად ჩასთვალა, რომ სემელე დასწვა ზეციდან მოვლენილის ალით. და აი ჰერმესს მიჰყავს თავისი პატარა დაობლებული ძმა ნიმფებთან აღსაზრდელად.

კაცის სხეულის ასეთი სილამაზე და სიტურფე ოცნებაშიაც კი ძნელი წარმოსადგენია. მთელი პოზა სტატუისა, ისეთია, რომ იგი ნათლად გიყენებსთ თვალის წინ ვაჟის სიმამაცეს და სიძლიერეს, რომელიც განუყრელად შედუღებული და შექსოვილი სინაზესა და სიფაქიზესთან. მისი ძალღონე სრულიადაც არ გამოიხატება კუნთების სიმკაცრითა და სიდიდით და გინდ თვით სხეულის უზარმაზარობით. არა, თქვენა ჰგრძნობთ, ჰხედავთ, უყურებთ, რომ ამ მშვენიერს ყრმას, რომელიც სიჭაბუკისა და მამაკაცობის იდუმალ საზღვარზედა სდგას—ღვთაებრივი ძალა აქვს. ხელში ბავშვი ჰყავს, მომაღლო წვრილ ხის კუნძზეა დაყრდნობილი და ეს პოზა ნათელ გჰყოფსთ, რომ იგი ღონიერია, უამისოდ მთელს სხეულში უნდა ემჩნეოდეს ძალდატანება, ძარღვები დაჭიმული უნდა ჰქონდეს. პირიქით, მთელი ეს გონების გამაშტერებელი, ჯადოსნური, თვალწარმტაცი სხეული სურათია სადა პოზისა, რომელშიაც ნასახიც არ არის რამე ფიზიკურის გაჭირვებისა და მთლად ერთიანად სილაღითა და თავისუფლებით არის გაჟღენთილი.

ხოლო, როცა სახეს დაუკვირდებით აქა ჰგრძნობთ თქვენ მთელს გენიოსობას ხელოვანისას, აქა ჰგრძნობთ რომ ხელოვანი შემოქმედად, ქცეულა, ძლევამოსილ შემოქმედად, რომელსაც შემოქმედების უდიდესი ნიმუში აქ, ამ პიტალო ქვაში, გამოუკვეთია.

მე ვწერდი „ანდროსის ჰერმესის“ სახის გამომეტყველების შესახებ. ეს სახის გამომეტყველება აქ კიდევ უფრო უცნაურია, უფრო დიადი, უფრო უძირო და უსაზღვრო. ერთის შეხედვით სახეს ფაქიზი, თითქმის უხილავი სევდის, ლეჩაქი ჰფარავს, მაგრამ იმავე წუთში ღვთაებრივი ხელოვანი იდუმალის სულის შებერვით ამ ლეჩაქს ჰხდის და ჰხედავთ მოსილ ღიმ-მორეულ ღვთაებრივ ბაგეს. ამნაირად გაღიმება მარტო ღმერთებს შეუძლიანთ. მარტო მათ შეჰფერის ასეთი ღიმილი, რომელიც ერთის მხრივ თითქო სიხარულისა და ბედნიერების გამომხატველია. მეორეს მხრივ კი თითქო სამსალა ნარევი დაცინვა არის. რასაკვირველია, ბედნიერი, მხიარული, ლაღი და თავისუფალი უნდა იყოს არსება ასეთის ძლევა-მოსილის მშვენიერებით აღჭურვილი. დიაღაც უნდა იცინოდეს იგი, დიაღაც უნდა თამაშობდეს, დიაღაც უნდა იმღეროდეს, დიაღაც აღტაცებული უნდა იყოს. მაგრამ მისი გონიერება მის სხეულის სიტურფეს უდრის, მისი შუბლის მშვენიერება ჭეშმარიტი და ღირსშესაბამი ჩარჩოა მაღალ აზროვნებისა, რომლითაც იგი დაჯილდოებულა. ამიტომაც მისი ბაგე საკვირველად განმზადებული ნაზ ღიმილად იქცევა, რომელიც არ შეურაცხჰყოფს, არამედ სავსებით შეეფერება და საოცრად შეთანხმებულია დიდის გონების და ფიქრის ნაშობ სევდასთან. თავისის სილამაზისა და ჯანსაღობის შეგნება მას უსაზღვრო ბედნიერებით ავსებს. მის თვალთა წინაშე იშლება სურათი ღვთაებრივად მომხიბვლელ ადამიანის დამატკბობელ-დამაამებელ სიტურფისა და ეს სანახაობა კმაყოფილებისა და სიამოვნების გამომეტყველებას აძლევს მის სახეს. მაგრამ მისი საუცხოო ხუჭუჭა თმით მორთული თავი ატარებს აზრს, მთელის მისის სულიერის არსების მომხმაველს და იგი აზრი, იგი ფიქრი სევდიანობის სევადას ავლებს მის ჯადოსნურ პირისახეს.

იგი ღმერთია, ზე-კაცი, რომელმაც კარგად იცის: ამ ქვეყანად ყოველივეს დასასრული აქვს, ყოველივეს სიკვდილისა და განხრწნილების დაღი ასვია. კარგად ჰხედავს. თვით მისი შეუდარებელი, უზადო, უჭკნობელი მშვენიერება სამარეში მტვრად იქცევა და უსახო, უმსგავსო მიწად. აი წყარო მისი—უკურნებელი დარდიანობისა. მაგრამ იგი ღმერთია, ზე-კაცი და იგი ყრმაა სიცოცხლითა და სიტურფით აღსავსე, მისი სევდა თავისდღეში საზღვარს გადასულ სასოწარკვეთილებამდის არ მისული, თავისდღეში დაუსრულებელ კვნესად არა ქცეულა, არასოდეს მისი სახე ნაოჭებს არ დაუღარავს. თუ გონება მის სიცილს ნაზ ღიმილად სცვლიდა, მისი თვალი, რომელსაც ყოველწუთში წინ აღემართებოდა ხოლმე ეს შეუდარებელი მაგალითი მშვენებისა და სილამაზისა კვნესასა და ვაებას გზას უჭრიდა და მასაც მშვიდ და წყნარ სევდად აქცევდა. და აი ამაში სჩანს ღვთაებრივობა, ზე-კაცობა არა თუ ხელოვნისა, თვით ხელოვნებას ნაყოფისა, არამედ შემოქმედისა თვით შემოქმედებისა. სევდა და ღიმილი ისე არის ერთ-

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 16.

ღვარზე, პრიზრენის ახლოს ცხარე ბრძოლაა: ტომსარიდან ოსმალონი ბულგარეთში შეიჭრნენ ბრძოლა სწარმოებს. პორტამ სასტიკად აუკრძალა ქრისტიანების შევიწროვება. წეს-რიგის დამრღვეველნი სამხედრო სამართალში მისცემენ.

ათინა. ათინის სააგენტო იუწყება, რომ სერბიამ პირველმა გამოუცხადა ომი ოსმალეთს, ბულგარეთი მის მაგალითს მიჰყვა. საბერძნეთს არ უნდოდა მეგობარ სახელმწიფოებს ჩამოშორებოდა და ამიტომ საბერძნეთის ელჩის პირით პორტას ომი გამოუცხადა. ძმური სალამი მოკავშირე სახელმწიფოებს.

სოფია. ჰეშოვმა ოსმალეთის სახელმწიფოთა საპასუხო ნოტის თაობაზე სთქვა: „ოსმალეთმა ამაყად, რომელიც არ ეთანხმება მის როლს ევროპის სახელმწიფოთა ცხოვრებაში, უარი განაცხადა ბალკანეთის სახელმწიფოთა ნოტის მიღებისა. საჭიროა გავიხსენოთ, როგორ მოიხსენა ოსმალეთი ბერლინის კონგრესზე სოლსბერიმ: ოსმალეთის არსებობა დამოკიდებულია სხვა სახელმწიფოების მფარველობაზე; და ამისთანა სახელმწიფო, რომელიც სხვის მედით არსებობს, ჰბედავს და არ აძლევს პასუხს იმ სამ სახელმწიფოთ, რომელნიც დამოუკიდებლად ჰმოქმედებენ! სასაცილოა, როდესაც ოსმალეთის საყვედური ჩვენ მიერ მიმართული მის მფარველ სახელმწიფოთა უპატივცემლობის გამო, როდესაც ყირიმის კომპანიის შემდეგ თვით ფეხ-ქვეშ სთელავდა ამ სახელმწიფოთა უფლებას.

პოდგორიცა. მემკვიდრის ცოლმა ინახულა საავადმყოფო და დაჭრილებს საჩუქარი დაურიგა. მოიყვანეს 235 ოსმალო ტყვე. სკუტარს და ტუზის შუა მოხდება შეტაკება,

კიევი. საჩქაროდ მიემგზავრებიან სამშობლოში სერბიელი და ბულგარელი მოსწავლენი.

ბელგრადი. სერბიის წარმომადგენელს მოწერილობა მოუვიდა დატოვოს სტამბოლი და გადასცეს პორტას, რომ სადავო საკითხები იარაღით გადასწყდებაო. ჯარს ებრძანა მოქმედების დაწყება. ქუჩებში მანიფესტაციაა. 5 ოქტომბერს მეფე მინისტრებითურთ ნიშში გაემგზავრება.

სტამბოლი. სერბიის, ბულგარეთის და საბერძნეთის ელჩები 5 ოქტომბერს მიემგზავრებიან სამშობლოში.

მეფის სიტყვა.

სოფია. ფერდინანდ მეფემ მიჰმართა სიტყვით ბულგარელ ხალხს: „ბულგარელნო! ოცი წლის მეფობაში ვცდილობდი მშვიდობიანის და საკულტურო გზით წინ წამეწია ბულგარეთი, მომეპოვებინა მისთვის სახელი, პატივი და კეთილდღეობა. განგებამ სხვანაირად მოაწყო საქმე: დადგა დრო, როცა ბულგარებმა მიატოვეს საკეთილდღეო მუშაობა და იარაღს მიჰმართეს დიდი ამოცანის გადასწყვეტად.

რილოდაგომის და როდოპსის მთების იქით ჩვენი ერთმორწმუნე ძმები მთელი 35 წლის განმავლობაში ელოდნენ ადამიანურ ცხოვრებას, აუტანელი პირობების გაუმჯობესებას. დიდ სახელმწიფოთა ცდამ და ბულგარეთის ცდამაც ამ მიზნის განსახორციელებლად, უნაყოფოდ ჩაიარა და მიზანს ვერ მიაღწია. ბალკანეთის მონების ცრემლმა, მათმა განუწყვეტელმა კვნესამ მთლად დაატყვევეს მათი თვისტომნი და ერთმორწმუნე ძმები. ბულგარელ ხალხს ახსოვს წინასწარმეტყველური სიტყვები განმანთავისუფლებელ მეფისა: „წმინდა საქმე უნდა ბოლომდის მიიყვანოთო!“ ჩვენ თავისუფლები ვართ და ჩვენი მოძმენი კი მძიმე უღელ ქვეშ. მშვიდობიანობა დაირღვა, და რომ ქრისტიანთ უშველოთ, ერთად-ერთი სახსარია იარაღს მივმართოთ. მხოლოდ ამ საშუალებით შეგვიძლიან მოუპოვოთ ადამიანური ცხოვრება და ღირსება, იშტიპსა და კოჩანს მომხდარმა ხოცვამ, იმის მაგივრად რომ დამნაშავეთა დასჯა გამოეწვია, და დაჩაგრულთა მფარველობა, როგორც ჩვენ მოვითხოვდით, გამოიწვია ჩვენ საზღვრებზე ოსმალეთის მობილიზაცია. მოთმინების ფიალა აივსო. კაცთმოყვარეობამ, სათნოებამ, რაც ბუნებითი თვისებაა ქრისტიანისა და აგრეთვე ბულგარეთის ღირსებამ და ძალამ მაიძულა ჩემი დროშის ქვეშ შემეკრიბა ბულგარელნი მოძმეთა გასანთავისუფლებლად. ჩვენი საქმე სამართლიანი დიადი და წმინდაა. ვამყარებ რა დიდს იმედებს ყოვლად შემძლებელზე, უცხადებ ბულგარელ ხალხს, რომ ომი ადამიანის ღირსებათა მოსაპოვებლად გამოცხადებულია. უბრძანებს ღირსეულ ბულგარეთის ჯარს ოსმალეთის საზღვრებისკენ დაიძრას. ჩვენთან ერთად იბრძოლებს საერთო მტრის წინააღმდეგ სერბია, საბერძნეთი და ჩერნოგორია. ეს ბრძოლაა ჯვრისა ნახევარ მთვარესთან, თავისუფლებისა ტირანოსთან. ჩვენ მხარეს არის ყველა ის, ვინც აფასებს წინსვლას და სამართლიანობას. გამხნევებული ამ თანაგრძნობით ძლევამოსილი ბულგარეთის ჯარი გაიხსენებს წინაპრების გმირობას და თავგანწირულებას. დეე, გზა თქვენი იყოს გზა გამარჯვებიდან გამარჯვებამდე. თქვენთან არს ღმერთი!“

ბელგრადი. რადგანაც ბულგარეთის, სერბიის და საბერძნეთის ნოტა პორტას მიერ უპასუხოდ დარჩა, და ოსმალეთმა მის სამაგიეროდ სერბიის და ბულგარეთის საზღვრებზე ბრძოლა დაიწყო, სერბია ომს გამოცხადებულად სთვლის. პასუხისმგებლობას ოსმალეთს ახვევს თავზე.

ჯარი ჟეშევისა და მარდარის ახლო საზღვარს გადავიდა. გენერალი იანკოვიჩი უფროსობს სერბია-ბულგარეთის რაზმს.

სოფია. მთავრობამ მიჰმართა საზღვარ-გარედ ბულგარეთის მისიას აცნობს სხვა სახელმწიფოებს კრიზისის მიმდინარეობა. ბალკანეთის სახელმწიფოთა ზომიერებამ ოსმალეთის მოქმედება გამოიწვია. სერბია, ბულგარეთი და საბერძნეთი ოსმალეთმა აიძულა იარაღისთვის მიემართნათო.

ალერსის ნატეხი

ალერსი მინდა ალერსით დამთვრალს,
სიყვარულით წრფელი და ნაზი,
რომ გადავაწნა შენსა ნაფიქრალს
ჩემი ოცნება, ჩემი ექსტაზი!..
ალერსი მინდა! აი სჩანს კვალი,
კვალი ოდესღაც ჩემის ნატრობის...
და ჩემი სახეც ისეა მკრთალი,
ვით გაცრეცილი მზე შემოდგომის!..
ბედნიერებას ნუ ეძიბ, სულო,
რომ არ არსებობს რით ვერ შეიტყე?!..
ალერსი მინდა საგაზაფხულო,
თორემ ჩამოვხმი, ჩამოვიბერტყე...
თუმც ის არა ვარ, რაც რომ ვიყავი
წინად, ყრმობის ჟამს, ბავშობის ხანად,
მაგრამ, ლამაზო, მე შენი თავი
მილირს სიცოცხლედ... მთელსა ქვეყანად.
ალერსით სევდის სევდა მიძლვენი,
ალერსით თვალი აახამხამე
და განმიახლე სიცოცხლის დღენი...
შენ გაზრდას, ქალო, მითხარი რამე!..

თვალით ჩავეჭდე შენს თაფლის თვალსა,
თვალი დავაგე შენს თვალთა ისრებს,
და მინდა ავხსნა—რასა მდებს ვალსა,
ანუ რას მეტყვის, რას დამაკისრებს?..
ო, ღმერთო, ენა რა უძლურია!
ვერ გამომითქვამს გულით რაცა მსურს...
ისმინე! ტრფობა... ტრფობა მწყურია,
ტრფობით გამოზრდილს, ტრფობით უსუსურს.
ალერსის ნატეხს გთხოვ ყოველთვისა,
ალერსის ნატეხს! მაჩუქე იგი...
ხომ შეგინიშნავს ალერსი ზღვისა,
როს მთვარის ტოტზე გაქვს ციგლიგი?..
და სიზმრად: კვირას შენ ავად მყავდი,
შაბათს კი კუბოს გიმკობდი ვარდით,
და მკვდარს მეორედ ალერსით გკლავდი
ლექსსაც გიწერდი ცეკვით, ნავარდით.
ო, სთქვი რას ნიშნავს, რას ეს, გეთაყვა,
სიზმარშიც რად ვართ ერთად შენ და მე?!
ო, მითხარ! მითხარ!.. თუნდ ერთი სიტყვა...
წამლად დაგედე! მითხარი რამე!..

ი. გრიშაშვილი.

ბელგრადი. სერბიამ დაუგზავნა სახელმწიფოებს ნოტა, მსგავსი ბულგარეთის ნოტისა.

პოდგორიცა. 4 ოქტომბერს ოსმალებმა დახოცეს რამდენიმე ჩერნოგორელი.

სოფია. გაზეთი „მირი“ იტალია-ოსმალეთის ზავის გამო სწერს: ჩვენ ვერ მოვითხოვთ იტალიას სხვერპლი შემოგვწიროსო. მან მიიღო ის, რასაც ითხოვდაო. ეს სრულიად არ იქონიებს გავლენას ბალკანეთის საქმეებზეო.

პარიზი. საბერძნეთის, სერბიის და ბულგარეთის წარმომადგენლებმა გადასცეს საფრანგეთის მთავრობას ნოტა, საცა ითხოვდნენ საფრანგეთმა ნეიტრალი დაიჭიროსო.

გაზეთებიდან.

მოწოდება სლავიანელთა დამხმარებელ საზოგადოებისა მოსკოვში.

სლავიანელთა მოსკოვის დამხმარებელი საზოგადოება გაზეთებში მოწოდებით მიჰმართავს რუსის ხალხს ბალკანელ მოძმეთა შველისათვის. მოწოდება შემდეგი შინაარსისაა:

„ბალკანეთის სახელმწიფოს დააწვა შავი ჯანყი და ბურუსი, რომელიც სისხლის ღვარად გადაიქცა. ეს მოვლენა უნდა აწუხებდეს და გულს უტოკებდეს ყველა რუსს, ვინც სლავიანელთა ბედისთვის ზრუნავს. ჩვენი უმცროსნი მოძმენი, ჩვენი სისხლი, და ხორცი, სამშობლოს დასაცავად შეებნენ ქრისტიანობის ულმობელ მტრებს, და ჩვენამდის მათი მწუხარე და სასოწარკვეთილი ღაღადისი: „გახსოვდეთ!“

დეე, როგორც ტარას ბულბამ უპასუხა ტანჯვისაგან გვემულს და წამებულს ოსტაპს, რომელიც ძნელ განცდათა დროს ამბობდა: „გესმის მამილო?!“—„მესმისო, ჩვენც გავეხმაუროთ მოძმეთ და უთხრათ: „გვახსოვს“. დეე, იცოდნენ მათ, რომ ჩვენ გვესმის მათი კვნესა, ვწუხვართ მათ საწუხელს, შევხარით და პატივსა ვცემთ მათ ოცნებას—ძლიერი მტრის დამარცხებას, დაუძლურებას იმ მარჯვენისა, რომელიც სლავიანთა განიერ მკერდის გასაგმირად არის მოღერებული“.

ბელოპოლიეს აღება.

ნოვობაზარის სანჯაკში ჩერნოგორელებმა აიღეს ქალაქი ბელოპოლიე, მცხოვრებნი აღფრთოვანებით შეხვდნენ. ოსმალებმა სენიცისკენ დაიხიეს.

სულთანის მანიფესტი.

გაზეთებმა გამოაქვეყნეს სულთანის მანიფესტის შინაარსი: „მთელმა ქვეყნიერებამ იცის ოსმალეთის მშვიდობის მოყვარეობა. ოსმალეთი პატივისცემით ეკიდება სხვა ერის უფლებას, უნდა, რომ მის უფლებასაც პატივისცემით ეპყრობოდნენ. არავითარი შავი განზრახვა არ ამოქმედებს ოსმალეთს, გულში არავითარი ბოროტი არა აქვს, და ამისთვის სხვაგანაც მოითხოვს გულწრფელობას და გულახდილობას. ოსმალეთი არ არის მიწადინე დაიხვიოს აქ და ხელი შეუშალოს რომელიმე ხალხის წინსვლას, და ამასვე მოითხოვს თავისდა მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ წინ დაუძლეველი დაბრკოლება გვედობება, ჩვენ ძალისდა გვარად ვცდილობთ ცხოვრება განვაახლოთ; ხალხის ბედნიერებისთვის ვიღვწით ჩვენ!

ჩვენი პატარა მეზობლები კი, ჰხედავენ რა ჩვენ წინსვლას და განვითარებას სცდილობენ ხელი შეუშალონ და ცხოვრება უკან წასწიონ. მათი უკანონო ზრახვანი, ჩვენი რეფორმების წინააღმდეგ არის მომართული. ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობით ისარგებლეს მათ და ჩვენდა საწინააღმდეგო მოქმედებისთვის შეთანხმდნენ და შეერთდნენ.

ბულგარეთის, ჩერნოგორიის, სერბიის და საბერძნეთის უტოპისტებმა, იმ მხარესი, რომელიც 600 წლის წინად ჩვენი სათარეშო მოედანი იყო, დაივიწყეს, რა ძვირად აფასებს ოსმალელი თავის სიცოცხლეს და როგორ თავგანწირულად იბრძოლა ერთი წლის განმავლობაში ტრიპოლიტანში.

ჩვენმა მეზობლებმა საზღვრებზე ჯარი გამოგზავნეს, რამაც გვაიძულა ჯარის მობილიზაცია მოგვეხდინა, რომელიც მუდამ ერთგული დარაჯია ოსმალეთის პატიოსნებისა. ამისთვის ბრძანებას ვცემ მოხდეს საერთო მობილიზაცია. ეხლა თქვენ გეძლევათ შემთხვევა დაიცვათ თქვენი სამშობლო, რისთვისაც წინაპრები ძვირფას სისხლს ანთხევდნენ. თქვენი მოვალეობაა ხელი შეუშალოთ და არ ვაქელინოთ მტრებს ის წმინდა ადგილი, რომელიც წინაპრების ნაშთს იმარხავს. მტრები მოზღვავებულან ჩვენი ბედნიერების დასარღვევად, ჩვენი შვილიშვილების ჩასაქოლად, თქვენ შეგშვენით, ვითარცა წინაპრებს, ხმალის შემოქნევით მოჰკვეთოთ მარჯვენა, ვინც გაჰბედავს ჩვენი სამშობლოს შეურაცხყოფას. თქვენ შეგშვენით იბრძოლოთ ისე, როგორც თქვენი მოძმენი ტრიპოლიტანში. დარწმუნებული ვარ, თქვენ წინაპრების დაფნის გვირგვინებს მიუმატებთ ერთ გამარჯვების გვირგვინს კიდევ. ყოვლად ძლიერმა ღმერთმა მოგანიჭოთ გამარჯვება, ჩვენდა სალხენად, სამშობლოს გასახარებლად.“

ხელს აწერს ახმედ-რეშად.

ბულგარების ამოხოცვა.

როგორც საელჩო იტყობინება, კელესში ბულგარელი მცხოვრებნი ოსმალეთის ჯარის კაცებს ამოუხოცნიათ.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

6 ოქტომბერი.

საზღვარ-გარედ

ჯარის დაბრუნება.

თავრიზი. ტფილისის გრენადერი პოლკის ბატალიონი კავკასიაში უკან ბრუნდება.

შეტაკება

თეირანი. სავის მახლობლად ბრძოლა არის სალარ-უდ-დოულესა და კერის მუჯახედამას შორის. შედეგი ჯერ არ არის გამორკვეული. თეირანიდან კერის საშველად 300 ბაქტიარი და 4 ზარბაზანი გაიგზავნა.

რომი. სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ სულთანმა ხელი მოაწერა ირადეს, რომლითაც ეგეის კუნძულთა მცხოვრების პირობები გაუმჯობესდება. ენიჭებათ სრული ამნისტია მცხოვრებთ, რომელნიც ომში მონაწილეობას იღებდნენ.

რომი. მეფის ბრძანებით გამოცხადდა იტალიის სუვერენიტეტი ტრიპოლში და კირენაიში. გამოაცხადა სრული ამნისტია. სულთანი ითვლება სულიერ მამად ლივიის მუსულმათ მცხოვრებთათვის.

სოფია. იტალია-ოსმალეთის ზავმა ცუდი შთაბეჭდილება იქონია, თუმცა ამ მოვლენებს დიდ მნიშვნელობას არ სძლევენ.

გაზეთის დაჭერა.

პეტერბურგი. ბეჭვდითი საქმის კომიტეტმა დაიჭირა გაზეთი „ნევსკაი ზვეზდა“. ამ გაზეთს დაუბეჭდია წერილი: „მესამე სათათბირო დი ნოქრები“.

მოსკოვი. დაარსდა სლავიანთა კომიტეტი. შეიმუშავეს მოწოდება რუსეთის საზოგადოების მიმართ. სამედიცინო დახმარების საკითხი განიხილეს.

გროზნო. ჩეჩნები და ყაზახები ერთმანეთს შეეჯახნენ. მოკლულია 10 კაცი, დაჭრილი 30. მიზეზი შეტაკებისა ჩეჩნების საქონლის მოტაცებაა.

ეკატერინოდარი. საგანგებოდ იდღესასწაულეს სამასწავლებლო ინსტიტუტი.

პეტერბურგი. საერთო კრებული სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის აღწერის პროექტი 1913 წლისთვის. სახელმწიფოს შემოსავალი: 1. ჩვეულებრივი შემოსავალი: პირდაპირი გადასახადი—249.865.738 მანეთი. არაპირდაპირი გადასახადი—657.424.200 მ.; ბაჟი—218.257.160 მ.; სახელმწიფოს რეგალები 925.303.075., სახელმწიფოს ქონება და კაპიტალი—986.849.769., სახელმწიფო ქონების გამოყოფვა—1625.680. გამოსასყიდი გადასახადი—909.700. სახელმწიფო ხაზინის ხარჯის ანაზღაურება —113.115.772. სხვა და სხვა შემოსავალი—15.791.734. ჯამი ჩვეულებრივი შემოსავლისა—3.169.142.828. 2. საგანგებო რესურსები: სახელმწიფო ბანკში მუდმივად შეტანილი—2000000 ხაზინის ვალის გასტუმრება მთელ იმპერიის გამოსაკვები კაპიტალისა—8000000. ჯამი საგანგებო რესურსებისა—1000000. სახელმწიფო ხაზინის თავისუფალი კაპიტალი—29.264.133. სულ 3.208.406.961.

სახელმწიფო გასავალი 1. ჩვეულებრივი გასავალი: სასახლის სამინისტრო—16.359.595, უმაღლესი სახელმწიფო დაწესებულებანი—9.213.214. წმინდა სინოდის უწყება—44.219.759. გარეშე საქმეთა სამინისტრო —7.179.295. შინაურ საქმეთა სამინისტრო—182.303.677. ფინან. სამინისტრო—453.699.561. იუსტიციისა —89,460.491. განათლების სამინ. —136.734.476. სამინის.—649.609.650. ვაჭრობის მრეწვ. სამინ.—59.529.776. მიწათმოქმედი და მიწათმოწყობი უწყება—135.813.118. —სახელმწიფო ცხენ. მოშენ.—2,593.450. სამხედრო სამინ.—545.581.753. საზღ. სამინ.—230.374.400. სახელმწიფო კონტროლი—12.094.904. სახელმწიფო ვალების გადასახადი—402.207.086. მოულოდნელი ხარჯი—10000000. ჯამი ჩვეულებრივი გასავალისა 2.987.784.205 მ.

ჩვეულებრივი შემოსავალი აღემატება ჩვეულებრივ გასავალს —181.358.695 მანეთით. 2. საგანგებო გასავალი. გასავალი რუსეთ-იაპონიის ომის დროს დანახარჯი—101,950. სამხედრო უწყების—90.112.569. რკინის გზები—110.775.137. რკინ. გზის საზოგად.—1.633,100. ნავთსადგურების გასაუმჯობესებლად 18000000. ჯამი საგანგებო გასავალისა —220.622.756. სულ 3.208.406.961. ხელი მოაწერა ფინანსთა მინისტრმა სტატს-სეკრეტ. კოკოვცევმა.

სხვა და სხვა ამბავი

უზნეო პიესა

რეპერტუარიდან ამოშალეს ქალ. ზალოპსკის პიესა—„უმწიკვლო ქალი“, რომელიც ცენზურამ უზნეოდ იცნო.

ნოვოროსიის უნივერსიტეტის უკანასკნელი ამბების გამომჟღავნების გამო ოდესის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი შჩერბაკოვი თანამდებობას თავს ანებებს.

პორტუგალიის ყოფილი მეფე.

პეტერბურგში მოელიან დღე-დღეზე პორტუგალიის ყოფილ მეფეს დონ-მანუელს. მანუელი ფარულად ჩავა პეტერბურგში, და შემდეგ კავკასიისკენ გაემგზავრება.

ამომრჩევლის დაჭერა

შავლში შეიპყრეს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის ამომრჩეველი, ნაფიცი ვექილი ვენცლავსკი.

პროფ. გოგიტიძის ლექცია.

სახალხო განათლების სამინისტროს მიერ დანიშნული პროფ. გოგიტიძე ოდესის უნივერსიტეტში პირველ ლექციას კითხულობდა. მსმენელთა რიცხვი 3 სტუდენტს არ აღემატებოდა.

მანეთში გადახლართული, ისეთ ნაირად არიან ერთი მეორეში შექსოვილნი, ისე ნაირად უმშვენებენ მხარს ერთი მეორეს, რომ ჩვენის ცხოვრების, ჩვენის სიცოცხლის სამაგალითო, უბადლო სურათად გვეცხადება. განა თუ მთელი ჩვენი ცხოვრება არ არის განურკვეველი, საიდუმლო, საზღვარ გადათელილი, რთული არეული კომბინაცია სიხარულისა და ვაებისა, სიცილ-ტირილისა, სევდისა და ღიმილისა ტანჯვისა და ბედნიერებისა, კაეშნისა და კისკისისა.

გამახსენდა გიუოს მშვენიერი ლექსი:

Les plaisirs l s plus dont, les maut
les plus amers
S axpriment par 'e même èbranlement
des nedfs...
... Cri de jaie au d' angoisse, ie
éclate,—ie S afface
St sans être compris, glisse sur e,
univers[1]).

ოჰ, ღვთივ მშვენიერო, უბიწო ყრმაო! რამან შეგქმნა ეგრე წარმტაცი, ეგრე ტურფა, ეგრე უმანკო. ღმერთია შენი შემქნელი თუ კაცი? თუ კაცი იყო იგი, მაშ, კაცს ღმერთობა შესძლებია, ადამიანი ყოვლის შემძლები ყოფილა. რას ჰხატავს შენი სევდა და რას მოასწავებს შენი ღიმილი? ნუ თუ შენი სიცოცხლითა და სიხარულით აღსავსე სხეული იმიტომაა სევდითა და სასოწარკვეთილებით მოცული, რომ შენის სამშობლოს უბედურებას წინად ჰგრძნობდი, შენის ღვთაებრივის თვალით ჰხედავდი?

მაშინ რატომ იგი სევდა უკურნებელი და უსაზღვრო არ არის? რა არის ეს ჯადოსნური ღიმილი, რომელიც ნათელსა ჰფენს არა თუ შენს უბადლოდ ლამაზ სხეულს, არამედ ყოველის შენ მნახველის გულს ნეტარებითა და სასოებით უვსებს. იქნებ დასცინი ადამიანის უგუნურებას, მის რწმენასა და სურვილებს, მის აზრსა და ფიქრს, მის შრომასა და ტანჯვას, მის უსაფუძვლო მხიარულებასა და თავდავიწყებას? თუ შენის მომჯადოებელის ღიმილით ეგებები კაცობრიობის მომავალს, რომელსაც ჰხედავ შენის უზენაესის გონებით საუკუნოებთა მიმდინარეობაში? იქნებ ეგ ღიმილი გამოწვეულია იმ რწმენით, რომ მომავალი მაინც შენი სამეუფოა? როცა ქვეყნად გამეფდება ერთობა და სიყვარული, როცა თავისუფალ, ლაღ მშრომელთა სამკვიდროდ გახდება ეს ქვეყანა ჩარჩთაგან წაბილწული, მაშინ კაცობრიობა განთავისუფლებული, ბორკილ აყრილი მოვა, მუხლს მოიდრეკს შენს წინაშე, თაყვანსა სცემს შენს სახელს და აღიარებს შენს სარწმუნოებას, სარწმუნოებას სილამაზისა, სიტურფისა, მშვენიერებისა, ბედნიერებისა, სიცოცხლისა და ნაზ-გრძნობიერებისას? დიადია შენი ღიმილი, უცნაურია და მიუწდომელი, ვით შენის ხატების მომხიბვლელობა: იგი სინაზით შემმკული უარყოფაა დღეინდლობისა და სასოებით მოვარაყებული მხილებაა ბედნიერების მომავლისა.

და განა თუ მთელი შენი გამოსახულება სიმბოლო არ არის მშვენიერების დიადობისა? ხელში გიჭირავს ობოლი ძმა, იმას ართობ, იმას ეთამაშები. ჩაგრულს მფარველობ და ჩაგრულს უღიმი. განა თუ ეს მთელი სარწმუნოება არ არის, მთელი დოღმატი უმაღლესის ხელოვნებით გამოხატული?

მაშ, მიიღე დიდებულო, მშვენიერო, გონიერო, ჩემი თაყვანისცემა. მუხლს ვიდრეკ დიდებულის გენიოსის წინაშე, რომელმაც მეც კი, ბარბაროსი, დიადის კრძნობით და ფიქრით აღმავსო, ნეტარება მომანიჭა, ჩაგრულს გული სასოების ცეცხლი ამინთო, საუკუნო იმედი ჩამინერგა და სიმშვენიერის სარწმუნოება განმიმტკიცა“...

სასაცილოდ არ აიგდო ეს ჩემი ლირიული აღმაფრენა, ასე უბადრუკად გამოთქმული. მაგრამ იმ წუთებში ჩემი თავი ნამდვილის ღმერთის წინაშე ვიგრძენი, ღმერთის, რომელიც სიხარულსა და ბედნიერებას ჰფენს თავის გარეშემო, თავისის მშვენიერებითა და სიტურფით, თავისის გონიერებითა და გრძნობით ხიბლავს და აცისკროვნებს მიდამოს.

ეს ქმნილება უეჭველი საბუთია იმისი, რომ კაცს ღმერთობა შეუძლიან და ერთ დროს როცა იგი გასწმენდს დედა-მიწას ტლაპოსაგან, ვით ჰერკულესმა ავგიის თავლები, იგი ღმერთად იქცევა. მაშინ იგი ადამიანი მომავალი დიდებითა ქვეყანის ედემად აქცევს, სადაც ყოველივე ნება დართული იქნება და სადაც „ხე ცნობადის“ ხილის გემოვნება სანეტარო საუკეთესო თავგასართობად შეიქნება. აქ არ იქნება არც მონა და არც ბატონი, არამედ ყველა იქნება ერთი მეორეს გატაცებული მიჯნური და ერთი მეორის თავდავიწყებული მეგობარი: ეს იქნება ედემი, სადაც იქნება ჰერბესი და ვენერა, კასტორი და პოლუქსი, ტარიელი და ნესტანდარეჯანი, ავთანდილი და თინათინი. ეს ედემი ჰერმესისა და ვენერას შვილებით იქნება დასახლებული, რომელთა სიმშვენიერე უკვე თავისთავად ბედნიერების მიმნიჭებელი იქნება მათთვისაც და სხვისთვისაც, რომელთა სიტურფე ქვისა და მცენარესათვის კი მომხიბლველი შეიქნება, ვითა ანაზდეული მუსიკა ორფეისა და გინდ „მღერა“ ავთანდილისა. ხომ გახსოვს:

„რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან“, მისვე ყმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან ისმენდიან, გაჰკვირდიან, რა ატირდის ატირდიან“...

(შემდეგი იქნება)

კიტა აბაშიძე.

---

*) „თვით უტკბესი სიამოვნება, თვით უფრო მწარე უბედურება ნერვების ერთისა და იმავე გვარის შეთამაშებით გამოითქმის... ხმა სიხარულისა და კვნესა-ვაებისა ერთნაირად გაისმის, ერთნაირად იკარგება უფსკრულში და ისე შეპარება მსოფლიოს რომ ვერც კი ვერავინ გაიგებს...

Uers d' un rhilosophe. h' èclat de rire (გვ. 21).

კავკასიაში მეფის მოადგილის სპალაში წასვლა.

მეფის მოადგილე კავკასიაში ამ დღეებში სპალაში გაემგზავრება.

„დანიშნული“ პროფესორები.

პეტერბურგის უნივერსიტეტის „დანიშნულმა“ პროფესორმა პილენსკომ თანამდებობის უარი განაცხადა. სხვა „დანიშნული“ პროფესორები, ინციდენტის თავიდან ასაცილებლად, პოლიციის თანადასწრებით კითხულობენ ლექციებს.

მინისტრების გამოცვლა.

როგორც დაჟინებით ხმები დადის მინისტრთა კაბინეთში საგრძნობი ცვლილება ჰხდება: გარეშე საქმეთა მინისტრად ჰფიქრობენ დანიშნონ რუსეთის ელჩი ტოკიოში: სახალხო განათლების მინისტრის კასოს მაგივრად ჰნიშნავენ სტუდენტებში პატივცემულ ლაგორიოს.

რუსეთი

ვისი ბრალია.

როგორც ვიცით, მეოთხე სათათბიროში სამღვდელოება ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს და ასე თუ ისე, ერთი წვერი საკანონმდებლო მექანიზმისა მის ხელში იქნება. სასულიერო წოდების გამოსვლამ საარჩევნო ბრძოლის ასპარეზზე ბევრი აალაპარაკა, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია სხვა და სხვა წრეში. მღვდლების დარაზმვას და შეიარაღებას უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორ საბლერს აბრალებდენ; მაგრამ როგორც ეხლა გამოირკვა საბლერი ამ საქმეში მხოლოდ დამხმარებელის და თანამგრძნობის როლს თამაშობდა. ინიციატივა ამ საქმისა, როგორც „რეჩს“ შეუტყვია ეკუთვნის შინაურ საქმეთა მინისტრს მაკაროვს. მაკაროვს სდომებია მეოთხე სათათბიროში მემარჯვენეთა ელემენტი გაეძლიერებინა. მღვდლები ხომ ამ საქმეში დაუფასებელ ღვაწლს გაუწევდნენ. და აი მაკაროვმა მიჰმართა საბლერს წინადადებით მოეწყო საარჩევნო ორგანიზაციები, რითაც მღვდლების ალაგს ტავრიდის სასახლეში უზრუნველჰყოფდა. მღვდლებს არამც თუ მარტო ზეგავლენა უნდა მოეხდინათ ამომრჩევლებზე, არამედ თავის წრეში ისეთი კაცი აერჩიათ, რომელიც მემარჯვენეთა ლეგიონს მიემატებოდა. საბლერმა მხოლოდ აასრულა დაკისრებული ვალი.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. ი. გედევანიშვილის **„მსხვერპლმა“** დიდი სახელი მოიხვეჭა ჩვენს საზოგადოებაში. შეუდარებლად დაგვისახა დრამატურგმა ჩვენი სოფლის ვითარება და მხატვრულად გვაჩვენა ბევრი ისეთი რამ, რაიც ჩვენს სოფელს ახასიათებს. წარსულ წლებში პიესა რამდენჯერმე დაიდგა და ყოველთვის აღტაცებაში მოჰყავდა დამსწრე საზოგადოება. ჩვენი დასის მსახიობნიც ნიჭიერად სურათხატვენ პიესაში გამოყვანილ პირთ. რეჟისორმა შალიკაშვილმაც მშვენივრად მოაწყო პიესის სცენაზე დადგმის საქმე. დღეს, 7 ოქტომბერს, განახლებულად წარმოდგენილ იქმნება „მსხვერპლი“ და თუ დღემდე პიესის სცენაზე დადგმას რაიმე ნაკლი ჰქონდა, დღეს რეჟისორის მიერ ყოველი ღონე მიღებული, რომ ეს ნაკლი მოაშოროს პიესას. სოფლის ყრილობაზე მომქმედ ბრბოზე მიქცეულია უმთავრესი ყურადღება რეჟისორისა. როლებიც ძველებურად არის განაწილებული, ხოლო გიგუას როლს ასრულებს ვალ. შალიკაშვილი.

ქართული თეატრი. დღეს, 7 ოქტომბერს, წარმოდგენილ იქმნება ვასო აბაშიძის მონაწილეობით ი. გედევანიშვილის ცნობილი პიესა „მსხვერპლი“.

კ. გ. ფოცხვერაშვილის ქართული კონცერტი სახალხო სახლში დღეს, 7 ოქტომბერს, დილის 12½ საათზე გაიმართება. ფასები ხელმისაწვდომია.

ქუთაისის თეატრი. კვირას 30 სექტემბერს, ადგილობრივ დრამატიულ საზოგადოების დასმა წარმოადგინა სამი პიესა (თარგმანი): „სოფლის ექიმი“, „ვისი შვილია?“ და „ორში რომელი?“ ამ სამ პიესაში ყურადღების ღირსია განსაკუთრებით პირველი, ბორდას ორ მოქმედებიანი დრამა „სოფლის ექიმი“. ამ პიესის უმთავრეს გმირს შეადგენს სოფლის ექიმი ბრუნე, რომელიც უარჰყოფს პირად ინტერესებს, საკუთარ ბედნიერებას და მთელ ძალ-ღონეს სოფლელების სამსახურს ანდომებს. იმდენად გატაცებულია საზოგადოების სამსახურით, რომ თავის მომაკვდავ შვილსაც კი სტოვებს და შუაღამისას სადღაც შორს მიდის სხვისი შვილის საშველად. ერთი სიტყვით, პიესაში გამოყვანილია სოფლის ექიმის იდეალი, რომლის მსგავსს ჩვენს ცხოვრებაში ვერ ნახავთ. პიესის უმთავრეს გმირის ექიმს (ბრუნეს) როლს ასრულებდა ბ. არადელი-იშხნელი, რომლის ბუნებრივმა, მეტად მოხდენილმა თამაშმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. კარგად შეასრულა ბრუნეს მეუღლის როლი ქ-ნმა ჩირგაძემ. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ორი მსახიობი ქუთაისის სცენისათვის დიდი შეძენაა. დანარჩენი მსახიობიც ხელს უწყობდენ ანსამბლს.

უკანასკნელი ორი პიესაც კარგად იყო წარმოდგენილი, თუმცა ისინი სულაც რომ არ წარმოედგინათ, ბევრს არაფერს დაკარგავდა საზოგადოება.

წარმოდგენას საზოგადოება, სამწუხაროდ და ჩვენდა სამარცხვინოდ, ნაკლებად დაესწრო.

მეტად საწყენია ჩვენი საზოგადოების ასეთი გულ-გრილობა ქართული თეატრისადმი. თუ სეზონის დასაწყისში ასეთ გულ-გრილობას იჩენენ, დასასრულში რაღა იქნება?!

იაკობ გოგებაშვილის ფონდი

ამასთან ვადგენ თოთხმეტ მანეთს და გთხოვთ გადასცეთ გოგებაშვილის ფონდის გასაძლიერებლად ტერტერში შეგროვილი.

სია შემომწირველთა: ვლ. კასრაძისაგან 5 მ., გ. დგებუაძისაგან 3 მ., კ. ლომინაძისაგან—2 მ, ს. გრუშჩინსკიმ—3 მ., ვ. ბიძინაშვილმა 1 მ.

სულ 14 მან.

პატივისცემით **ელენე გძელიშვილი.**

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! მომითავსეთ ორიოდე სიტყვა თქვენს პატივსაცემ გაზეთში.

მწადს ბოდიში მოვიხადო სტუდენტ ირემაშვილის წინაშე, რომ ჩემს ცხოვრებაში პირველად ვერ შევასრულე დანაპირები და ვერ დავესწარი მის მიერ გამართულ „სალიტერატურო საღამოს“.

ჩემი ახლო ნაცნობები დაამტკიცებენ, რომ ეს ექვსიოდ დღეა ლოგინად ვწევარ და ფოთიდან წამოღებულ ციებ-ცხელებას ვებრძვი!

ი. გრიშაშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ. № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის წ. 12 ს. 10 **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ., ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ. № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, სად. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: სააგარაკო მ ა ტ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **სააგარ. მატ.** № 77 **, ილ. 8 ს. 45 წ.

ჯულფისკენ: საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: სამგზ. და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., სად. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109/104 I—III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: ჩქარ. მატ. პლაცკარტ. № 1, სად. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათუმიდან: ჩქარ. მატ. პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, სად. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. 3 ს. 40 წ.

მცხეთიდან: სააგარაკ. № 76 a*, სად. 8 ს. 28 წ. **საგ.** № 76 **, ნაშუადღ 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სახ. № 9/10 სად. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7/8, დილ. 7 ს. 8 წ

ჯულფიდან: საფ. № 72/73, დილის 7 ს. 26 ს.

ერევნიდან საქონ. და **სახ.** № 80/81, შუადღის 12 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110/111, ღამ. 8 ს. 33 წ.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 715).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.

ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

გემების მიმოსვლა

საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

ბათომიდან გადის:

1 **ირგვლივ მოსიარული**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიი ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური“

ბაქოდან გადის:

ასტრახნისკენ კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

კრასნოვოდსკში ყოველდღე სად. 8 საათ.

ასტრაში ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

ლენქორანში ორშაბათობით სად. 6 საათ

ენზელში (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

მტკვრისაკენ კვირაობით, სმშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

ბაქოში მოდის:

ასტრახნიდან ყოველდღე სად. 8 საათზე.

კრასნოვოდსკიდან ყოველდღე დილის ს. 45 წ.

ასტარიდან ხუთშაბათობით სად. 6 საათ.

ლენქორანიდან ხუთშაბ. დილის 8 საათ.

ენზელიდან (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკარტები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზ ი მერკური**“ ტელ. 82.

განცხადებანი

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კუთხე, **№ 34**, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში ღა საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 იან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიო საქმისათვის. ძიძებსა და პოახლებს ყოველ დღე, დილის 1—12 ს.-მდე) მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.** 1037.

სამკურნალო ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივის საწოლებით.

გადავიდა ახალ ბინაზე

მიხეილის ქუჩა, № 49 და რეუტოვის მისახვევი № 2. ტელეფონი № 1026.

ავადმყოფებს იღებენ:

ალაჯანოვი მიხ.—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—ნაშუად. 12—1 ს.

ვნუკოვი მ. პ.—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრებისა სულით-ავადმყ. ელექტროტერაპატია დილ. 11—12 საათამდე.

კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სათ.

შამაში ი. ი.—ქირურგიულ ავადმყ. 12—1 საათამდე.

ავილოვისა ა. ა.—კბილის ავადმყ. 9½—11½ საათ.

სამკურნალოში სწამლობენ ელექტრონითა და მასაჟით. ახდენენ გამოკვლევას მიკროსკოპიულ, ბაქტეროლოგიურსა და ქიმიურს. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი ათი შაური. ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებისაგან.

წამლობა „606“-ით და 914. 1513

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. ბაგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ბეკტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინ. ანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

საღამოთი:

მ. გ. ბეკტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის 1078 დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

ქართულ ენაზე ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპიული, თეთრეული მანდილოსანთ და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი; Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос. Симоновой. Бульварны пер., 2, соб. д. 1231

ფეხსაცმელები თომა დ. ჯანუარაშვილის მაღაზია-სახელოსნოში.

მუხრანის ქ. № 2.

ყოველნაირი: საკუთარი და პეტერბ. მეხანიკური ნაწარმოებ.

683.

ბაღოსნობა ძმ. ავსარქისოვებისა,

სადგ. სკრაში, (კავკ. რკ. გზა).

ჰგზავნის **ხეხილის ნერგებს** საზღვარ-გარეთულს, რუსულს, ადგილობრივ საუკეთესო ჯიშისას და **საწალკოტო (დეკორატიული) ხეებსა და მცენარეებს** ხელმისაწვდომ ფასებში. მსურველთ კატალოგები უფასოდ ეგზავნებათ. მისამართი: Ст. Скра, (З. Ж. Д.) Авсаркисову. 710

ვკისრულობ:

1. დაგირავებას და გადაგირავებას უძრავ მამულებისას როგორც ქალაქებში, აგრედვე სოფლებში.
2. უძრავ ქონებათა ყიდვა-გაყიდვას.
3. მადნეულობის გამოკვლევას და შეფასებას.
4. ყოველგვარ არზების და პირობის ქაღალდის შედგენას.
5. ხე-ტყის მასალის მყიდველის და გამყიდველის შოვნას. მთხოვნელებს ვიღებ ყოველ დღე გარდა კვირისა და უქმე დღისა, დილის თერთმეტის ნახევრიდან 12 საათამდე და საღამოთი ექვსიდან 7 ს.-მდე. **ბინა: ქ. ტფილისი, გოლ. პროსპ.,** სახლი **მანთაშევისა,** სასტუმრო „უნივერსალი“, № 2, ტელეფონი № 499. **იოსებ კირილეს ძე რაზმაძე** 1496

ავადმყოფებს და სუსტებს

„სპერმატინი“

დამზადებულია ი. ნ. ივანოვის ლაბორ[illegible] ფარმაცევტების მეთვალყურეობით. **„სპერმატინის“** გამოგონება ეკუთვნის დიდებულ ფრანგ პროფესორს ექიმ **ბროუნ-სეკარს.** მან, 76 წლისამ თავის თავზე გამოსცადა ამ წამლის გადამხალისებელი და ჯანის გამმაგრებელი გავლენა.

მას მერე მკურნალებმა დაადასტურეს, რომ **„სპერმატინი“** უებარი წამალია: მოხუცებულების სისუსტისა, სისხლნაკლებისა მძიმე ავადმყოფობისა, ნერვებ აშლილისა, გონებისა და სხეულის მოქანცულობის, სქესებრ. მოქარგბებისა, ჯანის გატეხისა, დამბალ ციებისა, ძარღვების მოდუნებისა, ხერხემლ. ტვინის გახმობისა, სიდამბლისა, კაცობიდან ჩამოვარდნის, წყალმანკისა, გულისფრიალისა შაქრის ავადმყოფობისა, ქარებისა, ათაშანგისა, ლოთობისა, ყაბზობისა, ჭლექისა, ვარდის წყლით წამლობის შედეგისა და სხვ.

1 შუშა ღირს 2 მ. 40 კ. ტაბლეტ—2 მ. 75 კ. ფასდადებითაც შეიძლება დაბარება. აფთიაქებს და საავთ. საწყ.—ფას-დაკლებით. გასაგზავნს დამბარებელი იხდის. იყიდება კავკასიაში მთავარ წარმომადგენელთან—**ი. ახობაძე და ამხ“.** ტფილისი, ლორისმელიქოვის ქუჩა, სახლი № 6, ეზოში. 661

შინაგ. საქმ. სამინისტ. ნებადარ. (1907 წ. № 9696)

კლდე

16 ენკენისთვიდან, გამოდის ყოველ კვირეული საზოგადო - ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია იმყოფება: **ტფილისი, გაბაშვილის შესახვ., № 3 რედაქცია „კლდე“**

წლიური ფასი . . . . 5 მან.
ამა 1912 წლ. დამლევამდე . . . 1 „ 50 კ.
თვეში . . . . — „ 50 კ.

(სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთ დაეთმობათ 4 მანეთად).

რედაქცია ღიაა ყოველ დღე 11—1 საათამდე. 1495.

გამოსულია და იყიდება

ნ. შიუკაშვილის

პიესა **„მემონრობა“,** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

პუშკინის ქუჩაზე, № 9,

იმლევა ქირით ორი დიდი თვალი მაღაზია,

შეიძლება შუაზედაც გაიყოს **ორ დუქნად.**

მაღაზიის ზევით მეორე სართულში

ქირით იძლევა ახლად შეკეთებული **ხუთი ოთახი,**

კუხნით, წყლით და ყოველივე მოწყობილობით.

პირობების შეტყობა მსურველთ შეუძლიანთ იქვე,

ძმ. ძეგველოვების მთევზის ალაზიაში.

ინჟენერი

ი. ს. პონდოევი,

ტფილისი. ელისაბედის ქ, 164. ბაქოს ქ. კუთხე.

ცემენტი ასფალტი, უდრონი, ცეცხლის მძლე აგური და თიხა, ლურსმეულობა, „заклепки“, გულცარიელი აგური და კრამიტი და სხ., საშ. მასალა.

რკინის კოჭები, საქვაბე რკინები, საკუთხე რკინები, სახურავების რკინები. (შავი და ცინკნარევი).

ტელეფონი: კანტორისა № 10—93 აგურხანისა № 11—96.

საშენებელი აგურები საკუთარ. აგურხანიდან ვაკეზე 1474

ვაჭრობა-მრეწველობის უწყებაში მყოფი

ბუხჰალტრიის პრაქტიკული კურსები და კომერციული ანგარიში

ი. ფ. კალატნიკოვისა,

(ტფილისი, მიხეილის ქუჩა, 132).

1912—13 წლის სემესტრში ქალ-ვაჟთ შეუძლიანთ მიღების თხოვნა შემოიტანონ და ჩაეწერნენ ყოველ დღე დილის 10 საათიდან საღამოს 9 საათამდე. მეცადინეობა 15 სექტემბერს დაიწყო.

კურსებზე ორივე სქესის მსმენელნი იძენენ საფუძვლიანსა და სრულიად დამთავრებულ მომზადებას, კანტორა ბუხჰალტერიისა და საალებ-მიცემო მიწერ-მოწერის დამოუკიდებლად საწარმოებლად.

კურსებზე შემსვლელნი საფუძვლიანად სწავლობენ: 1. **ბუხჰალტერიას** უბრალოს, ორმაგს, იტალიურს, გერმანულს, ამერიკულსა, ფრანგულსა და ახალ რუსულს (ყველა სისტემის შესასწავლად სავალდებულოა პრაქტიკული მუშაობა) ბ) **ანგარიშების წარმოებას:** საზოგადოდ საალებ-მიცემოს, საბანკოს, საქარხნოს, საზოგადოს, სასოფლო-მეურნეობისას, ქალაქისას და ერობისას. 2. საკომერციო არითმეტიკას, 3. სავაჭრო უფლებას, 4) თამასუქების უფლებას, 5) საალებ-მიცემო მიწერ-მოწერას, 6) ანგარიშს საანგარიშო ჩოთქზე, 7) ლამაზსა და სწორ წერას (კალიგრაფიას), 8) საწერ მანქანის ხმარებას, 9) რუსულ ენას, 10) არითმეტიკას, 11) **უცხო ენებს:** ინგლისურს, ფრანგულსა და გერმანულს, 12) უცხო ენებზე საალებ-მიცემო მიწერ-მოწერას.

რუსულსა და არითმეტიკის მსმენელთ უფასოდ ასწავლიან.

მასწავლებლებად მოწვეულნი არიან უმაღლეს სწავლა მიღებული სპეციალისტები. კურსების წესდება და პროგრამა მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ. 1447

ხელოვნურად შეზავებული

სამკურნალო და ხილეულობის წყალი

მიტროფანე ლაღიძე და ამხ.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

გემო და სუნი საამური აქვს.

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდ-ოქროსა და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად ტფილისის გუბერნიის სამკურნალო მართველობისაგან № 5792.

ქარხნები იმყოფება: **ტფილისში, გოლოვინის პროსპ. № 5 ტელეფონი № 411, ქუთაისში—პუშკინის ქუჩა № 6.**

1407

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა“.